# ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
# სამრეკლოს №№24;26



თბილისი
2014, ოქტომბერი

სამრეკლოს, ყოფ. ურიცკის ქუჩა დღეს ავლაბრის ტერიტორიას, ხოლო ისტორიულად – ჩუღურეთს განეკუთვნება.




1898 წ. ქალაქის გეგმაზე მოცემული უბანი თბილისის VII ავლაბრის პოლიციურ უბანს ეკუთვნოდა. «Покровский» აღმართის ბოლოს აღნიშნულია სამხედრო ყაზარმები. ამ დროს მუხრანის ხიდი ჯერ არ არსებობს.


ჩვენი საკვლევი ობიექტი ურიცკის ქუჩაზე მდებარეობს. საკვლევი ტერიტორია ისტორიული ქალაქის განაპირაა. XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტომასალაზე გარკვევით ჩანს, რომ ეს ადგილები ადრე გაუნაშენიანებელი იყო. ძველი ქალაქის ქუჩათა სისტემა სწორედ აქ სრულდებოდა რკინიგზის გასწვრივი ზოლით, ხოლო კონკრეტულად ურიცკის ქუჩა ბუხაიძის ქუჩის მიმდებარედ მდებარეობს და ისტორიულად ღირებული ნაგებობები მასზე შემორჩენილი თითქმის არ არის, თუმცა, ალაგ-ალაგ გვხვდება ე.წ. „ფონური განაშენიანების“ ნიმუშები.

სახელოვნებათმცოდნეო სტილისტური ანალიზითა შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდის სახლები აქ აღარ შემოგვრჩა, ან ძლიერ არის სახეცვლილი. მიკროუბანში არსებული ურბანული ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობა იშვიათია და უმეტესობა XIX ს. მიწურულს განეკუთვნება. ანუ იმ პერიოდს, როდესაც ხელისუფლებამ დაიწყო ქალაქის

მოწყობა ახლებურ ყაიდაზე და სამშენებლო საქმეთა კომისიას მთავარმმართებლის ბრძანებით ჩუღურეთის, კუკიას, ავლაბრის გადაგეგმვა დაევალა. მთლიანობაში ეს უბანი ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის გარეთ მდებარეობს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მთიანი რელიეფიდან გამომდინარე, შორ ხედებზე ის კარგად აღიქმება ისტორიული ქალაქის უკანა პლანზე.



მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი ტერიტორია ქალაქ თბილისის ისტორიული ცენტრის დაცვითი ზონის ფარგლებში მდებარეობს, აქ თითქმის არ არის შემორჩენილი ისტორიულად ღირებული შენობები და განაშენიანება XXს-ის დასაწყისის თბილისის შემოგარენისათვის ტიპიურ ერთ-ორსართულიანი რულარული ტიპის ნაგებობებისაგან შედგება. ამასთან, XX ს-ის ბოლოს ამ ადგილის მახლობლად, ***სამების საკათედრო ტაძრის*** არქიტექტურული კომპლექსის გაჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა უბნის განაშენიანების მასშტაბი და ფაქტობრივად სტიმული გააჩინა სამი-ოთხსართულიანი კერძო ბინათმშენებლობისთვის.



როგორც აღინიშნა, ზემო ავლაბარზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. მის ურბანულ სახეს დღეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ***სამების კათედრალური ტაძრის*** დომინანტი, რომელიც მთელი გარემოს განაშენიანების წამყვან ორიენტირად იქცა. ზემოთქმულიდან გამომდინარე მეტად საპასუხისგებლოა უბნისა და მისი განაშენიანების პრინციპების შენარჩუნება და დაცვა.



ტაძრის მოპირდაპირე მხარეს, სამრეკლოს ქუჩის №№24;26 ურთიერთმომიჯნავე მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს. №26-ში ცოტა ხნის წინათ აიგო თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტის მქონე სამსართულნახევრიანი სასტუმროს შენობა, რომლის საფასადე არქიტექტურული გადაწყვეტა საკმარისად უღიმღამოა. ამჯერად ჩაფიქრებულია სასტუმროს რეკონსტრუქცია მისი ფასადის სახეცვლა და მოცულობის გაფართოება №24-ის მიწის ნაკვეთის ხარჯზე, რომელზედაც დღესდღეობით ერთსართულიანი სახლის ნანგრევი ფიქსირდება.



## რეკომენდაციები

- ახალი ნაგებობის დაპროექტებისას გასათვალისწინებელია ისტორიული ქალაქის ამ უბნისთვის დამახასიათებელი საშენი მასალა - აგური, ნალესი ფაქტურები, ხის, ან ლითონის აივნების ტიპები. საგულისხმოა ღიობების რიტმის და პროპორციის თანაფარდობის დაცვა.
- ვინაიდან ეს ტერიტორია საკმარისად კარგად იკითხება შორ ხედებზე, მნიშვნელოვანია შენობის ფაქტურული გადაწყვეტა და მისი დამჯმდარი ფერადოვნება როგორც სამების ტაძართან მიმართებაში, ასევე ფერდობზე შეფენილი განაშენიანების ფონზე.
- ნაგებობის დაპროექტებისას სასურველია გათვალისწინებულ იქნას ისტორიული თბილისის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური თავისებურებები, რაც გულისხმობს ერთიანი მოცულობის დანაწევრებას რამდენიმე სეგმენტად და მისთვის T, П, ან Г -ს ფორმის მიცემას.
- მნიშვნელოვანია აგრეთვე მანსარდის სართულის გადაწყვეტა. შესაძლებელია გამოვიყენოთ ტრადიციული სამერცხლულების ფორმები, ან ბანის ტიპის გადახურვა დია ტერასებით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი